



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ტარიელ სივსივაძე, ზოგადი განათლების ხარისხის
უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1. ირმა ხმელიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.
2. ნელი ნაოჭაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი.
3. ცილა ჩიტია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი.
4. ნონა ბეროშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი.
5. ლია ციციშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი.
6. ნანა ჩავლეშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი.
7. მზევინარ მჭავანაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი.
8. ნონა გორგილაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი.
9. ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.
10. ნათია კოხომე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაში საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242576191

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლასურიაში
ფაქტობრივი მისამართი	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლასურიაში
საფოსტო ინდექსი	5100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/4c3N3hv
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	lasuriashi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	551380438

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 09 აგვისტოს MES 0 24 0000960365 ბრძანება
--	---

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)

2024 წლის 09-10 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	დაწებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლასურიაში. ერთი შენობა-ნაგებობა
2	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლასურიაში. ერთი შენობა-ნაგებობა
3	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლასურიაში. ერთი შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 09 და 10 სექტემბერს. ვიზიტის დღის წესრიგი შეთანხმებული იყო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. ვიზიტით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სკოლა სრულად იყო მომზადებული. საგნობრივი ექსპერტები მუშაობდნენ დისტანციურ ფორმატში. ყველა კათედრასთან გასაუბრება განხორციელდა ვიზიტის პირველ დღეს. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტი აქტიურად იყო ჩართული კათედრებთან შეხვედრების პროცესში. ექსპერტთა ჩართვას ორგანიზებას უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი. მთელი სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საავტორიზაციო პროცესში ჩართული იყო დაბა ცაგერის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისა და ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ განხორციელდა სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება, ასევე, ადგილზე მოხდა სასწავლო რესურსების, ლაბორატორიების და ბიბლიოთეკის შემოწმება. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი მუშაობდა სასკოლო დოკუმენტაციასთან, აზუსტებდა მნიშვნელოვან საკითხებს. ვიზიტის მთელი პროცესი წარიმართა კეთილგანწყობილ გარემოში. პირველი დღის შეჯამება შედგა სკოლის პერსონალთან ერთად. ვიზიტის მე-2 დღე ასევე გამოყენებული იქნა სასკოლო დოკუმენტაციის გაცნობის, დირექცია-ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან (ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი) გასაუბრებისათვის. მოსმენილი იქნა ინფორმაცია სსსმ მოსწავლისათვის სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისის თაობაზე. ვიზიტის დასასრულს ავტორიზაციის ჯგუფი შეხვდა სკოლის პერსონალს, რაც ასევე საქმიანად წარიმართა. მათთვის გაზიარებული იქნა მოსაზრებები სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის, წარმოებული დოკუმენტაციის, სასკოლო პროცესების, სკოლის თვალსაჩინოდ ძლიერი მხარეების და გამოსასწორებელი ხარვეზების შესახებ. ავტორიზაციის ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები სკოლისაგან აღქმული იქნა მხარდაჭერად და შემდგომი პროცესების დაგეგმვის და განვითარების წინაპირობად. სკოლას სრულად აქვს გაცნობიერებული თავისი მისია და გეგმავს, კიდევ უფრო აქტიური გახადოს ჩართულობა მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, განავითაროს არაფორმალური განათლების მიმართულება და ახალი სიცოცხლე შესძინოს ტრადიციული ხალხური რეწვის სახეობებს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია, ეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახერხებს, გაიზიაროს და დანერგოს წარმატებული პრაქტიკა როგორც წმინდა აკადემიური, ისე არაფორმალური და პროფესიული განათლების მიმართულებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა



გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშის საჯარო სკოლას გააჩნია გამორჩეული პრაქტიკა რამდენიმე მიმართულებით, რომელთაგან ყველაზე მეტად თვალსაჩინო გახლავთ ქართულ-ხალხური, ტრადიციული საქმიანობების(ხალხური რეწვის ცალკეული დარგების) სკოლაში შემოტანა და თავისი მოსწავლეებისათვის მისი არსის გაცნობა. სკოლაში ფუნქციონირებს ხალხური რეწვის წრე, რომელსაც სათავეში უდგას ამ საქმის პროფესიონალი პირი(რომელიც ასევე გახლავთ საგნის სტატუსიანი მასწავლებელი), რომლის დამსახურებითაც დიდია ამ წრის საქმიანობით დაინტერესება არა მხოლოდ მოსწავლეების, არამედ მშობლების შემთხვევაშიც. სკოლის ამ აქტივობაში ერთმანეთთან ჰარმონიულადაა შერწყმული ფორმალური, არაფორმალური და პროფესიული განათლება. სკოლამ მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ „სასკოლო ინიციატივების წახალისების პროგრამის“ საგრანტო კონკურსში, გახდა მისი გამარჯვებული და მოიგო 5595 ლარის ღირებულების გრანტი, რითაც შეიძინა საკერავი და საქარგავი თანამედროვე ტექნიკა, ასევე, წრის მუშაობისათვის საჭირო რესურსი. სკოლას გამოყოფილი აქვს ფართი ამ წრის ფუნქციონირებისათვის, სადაც განთავსებულია შესაბამისი მოწყობილობები და ინვენტარი. აქვეა გამოფენილი მოსწავლეთა ხელით შექმნილი გობელენის, თექის, ჭრა-კერვის და ქსოვის არაჩვეულებრივი ექსპონატები(ნაწილი), ასევე, სკოლის სხვა სივრცეშიც არის გამოფენილი მოსწავლეთა ნამუშევრები. მოსწავლეები ახდენენ თავიანთი ნაკეთობების მუნიციპალიტეტის დონეზე გატანას, მართავენ გამოფენა-გაყიდვას, რომელში აღებული თანხაც ხმარდება სათანადო(იგივე საქმისათვის) რესურსის შეძენას და ამ მიმართულებების კიდევ უფრო განვითარებას. ასეთი საქმიანობით, სკოლა აკეთებს ეროვნულ საქმეს: 1.თავის აღსაზრდელებში ეწევა უკვე მივიწყების პირას მყოფი პროფესიების პოპულარიზაციას და ქმნის შესაძლებლობას მათი დაუფლებისათვის. 2.ხელს უწყობს არაფორმალური განათლების დანერგვას და 3.რეალურ დახმარებას უწევს მოსწავლეებს მომავალი პროფესიის არჩევაში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება



მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 80	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა „სრულ შესაბამისად“ შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, „სრულ შესაბამისად“ შეაფასა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, „სრულ შესაბამისად“ შეაფასა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთი კურიკულუმის დასახელება)	ხარვეზი
ინდიკატორი N		

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლისათვის გაცემული იქნა რეკომენდაცია: 1. 2025 წლის 10 სექტემბრამდე სკოლის მთავარ შესასვლელში უზრუნველყოს სტანდარტული ტიპის პანდუსის მოწყობა. 2. 2026 წლის 15 სექტემბრამდე მოახდინოს ლიფტის დამონტაჟება
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი NI	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;	სკოლას მიეცა რჩევა, დააკონკრეტოს საკუთარი მისია და მოარგოს იგი სასკოლო თემის საჭიროებებს, ხოლო ხედვა გახადოს უფრო მკაფიო და კომპაქტური.
ინდიკატორი 1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;	სკოლას მიეცა რჩევა, პირველ რიგში დახვეწოს სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტის შექმნის მეთოდოლოგია, რომელშიც ნათლად გამოჩნდება თავისი სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტული მიმართულებები და ინტერესები, ხოლო მორგებულ დოკუმენტზე დაყრდნობით დაიწყოს სტრატეგიული გეგმის დოკუმენტის დახვეწის სამუშაოები.
ინდიკატორი 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები,	სკოლას მიეცა რჩევა, აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების გრაფაში დააკონკრეტოს, რა სახის რესურსის გამოყენებით გეგმავს სასურველი შედეგის მიღწევას.



	პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.1.1.2.	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.	სკოლას მიეცა რჩევა, 2024/25 სასწ.წლისათვის მრჩეველთა საბჭოს სხდომების ჩატარება უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, სასწავლო წლის მანძილზე მინიმუმ 4-ჯერ მაინც.
ინდიკატორი N3.1.2.2.	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სკოლას მიეცა რჩევა, დაიწყოს სამუშაო დროის რეალური აღიცხვა, ასევე, აწარმოოს სამსახურში გამოცხადებისა და სამსახურიდან წასვლის ჟურნალი, ასევე, აწარმოოს გაკვეთილების გადანაცვლება-ჩანაცვლების ჟურნალი.
ინდიკატორი N3.1.2.6.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების	სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალის მოტივაციის ამაღლების მიზნით უფრო აქტიურად გამოიყენოს წახალისების სხვა ფორმები(მადლობის გამოცხადება ბრძანებით და პირად საქმეში შეტანით, სიგელის გადაცემა).



	აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.	
ინდიკატორი N3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;	სკოლას მიეცა რჩევა, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველზე, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც განახორციელებს საქმიანობას პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიმართულებით.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული	სკოლას მიეცა რჩევა, შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური კადრთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.



	შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N3.4.1.6.	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლას მიეცა რჩევა, გააფორმოს ხელშეკრულება პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერთან.
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	სკოლას მიეცა რჩევა, განაახლოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების რესურსი, მოახდინოს ლაბორატორიების ფართების რეაბილიტაცია და აღჭურვოს სათანადო ინვენტარით.



ინდიკატორი N3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლას მიეცა რჩევა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის გარდა თავის გვერდზე განათავსოს 2024/25 სასწ.წლის სასკოლო გეგმა და მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, კლასის და საფეხურის დაძლევის შიდა რეგულაციების დოკუმენტი.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა



ინდიკატორი N4.1.2.2.	სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;	სკოლას მიეცა რჩევა , მოსწავლეთა მიერ კლასის დაძლევა/საფეხურის დაძლევა განხორციელდეს დირექტორის ინდ.აქტით, კლასის დამრიგებლის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.3	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლას ხარისხის ექსპერტისგან მიეცა რჩევა , კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გაწერილი ძირითადი პროცესები, კერძოდ, სასწავლო კურიკულუმის დოკუმენტის შემუშავების პერიოდი ასახოს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პროცესზე პასუხისმგებელ პირთა მითითებით.



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია, კურიკულუმში იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია შემაჯამებელთა შესახებ, რათა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას, რომელი თემის შემდეგ ჯამდება მოსწავლის ცოდნა. სახელმწიფო ენა: დაწყებითი საფეხურის 1-ელი კლასის კურიკულუმის რესურსების სვეტში სახელმძღვანელოს მითითებისას სასურველია ჩაიწეროს შესაბამისი გვერდი. ასევე სასურველია ცნებებთან ქვეცნებები შესაბამისი კომპლექსურის გასწვრივ ჩაიწეროს მხოლოდ. მე-2 კლასის კურიკულუმში კი უმჯობესია საკითხების სვეტში კომპლექსური დავალების საკითხი ჩაიწეროს, ხოლო ტექსტები და კონტექსტმაგალითები ამავე დასახელების სვეტში იქნას გადატანილი. აქაც როგორც პირველ კლასში ცნებებს ქვეცნებები მხოლოდ ასეთი დავალების მითითებისას უნდა მიეწეროს. მე-3 და მე-4 კლასის კურიკულუმებში სასურველია ცნებათა სვეტში ჩასწორდეს და ის ცნებები ჩაიწეროს, რომლებიც დაწყებითი საფეხურის ცნებებია. საკითხებისა და ქვეცნებების სვეტში უმჯობესია დაიწეროს შემოქმედებითი პროდუქტი რა საკითხს ეხება და რა ქვეცნებებს მიემართება, ხოლო სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები ძირითად და დამატებით მასალად დახარისხებული ჩაიწეროს სვეტში- „ტექსტები, კონტექსტმაგალითები“. მე-6 კლასის კურიკულუმს მასალების სვეტში უმჯობესია მიეწეროს ტექსტის შესაბამისი გვერდები. სასურველია 1-ელი, მე-2 კლასის კურიკულუმში ყოველ თემასთან ცნებათა სვეტში ყველა დაწყებითი საფეხურის ცნება ჩაიწეროს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კომპლექსური დავალებაა მითითებული. კარგი იქნება მე-2 კლასის კურიკულუმში წლის განმავლობაში
-------------------------------	---	--



		რამდენიმე შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი კომპლექსური დავალების გაწერა. ესთეტიკური აღზრდა: სასურველია, საგანის „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“ I, III და IV კლასების კურიკულუმებში, ყველა თემის მიხედვით აისახოს რომელი სამიზნე ცნებების დამუშავება მოხდება. მათემატიკა: სასურველია ყველა კლასის კურიკულუმს დანართის სახით ჰქონდეს თანდართული შემოქმედებითი პროდუქტის შესაბამისი აქტივობები და პროექტები.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	ესთეტიკური აღზრდა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა კლასის კურიკულუმში, სასურველია მიეთითოს საგნისთვის განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა. მათემატიკა: სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე თემის შესაბამისი შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენდეს შემოქმედებით პროდუქტს, ასევე, სასურველია მეტად მრავალფეროვანი იყოს სასწავლო აქტივობები
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა)	საბუნებისმეტყველო საგნები: სკოლას მიეცა რჩევა, განაახლოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების რესურსი, მოახდინოს ლაბორატორიების



	უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	ფართობის რეაბილიტაცია და აღჭურვის სათანადო ინვენტარით. სასურველია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში იყოს გამწოვი კარადა.
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	მათემატიკა: სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად დაიგეგმოს მოკლევადიანი მიზნები. ისგ გეგმის შემუშავების პროცესში კათედრის ყველა წევრი ჩაერთოს და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს კონსულტაცია გაუწიონ საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგებმა საგნობრივ კომპეტენციის ნაწილში.
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბუნებისმეტყველო საგნები: სასურველია შეფასების კრიტერიუმები გაწერილი იყოს კონკრეტული თემების მიმართ. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებას, თუმცა რადგან მოსწავლის აკადემიური მოსწრების მთავარი განმსაზღვრელი ინსტრუმენტი არის განმსაზღვრელი შეფასება, სკოლას ვურჩევდი, აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და ჰქონდეს ყველა აქტივობისთვის შესაბამისად. ესთეტიკური აღზრდა: დაწყებითი საფეხურისათვის სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში შეიქმნას: განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თემის ფარგლებში, შედეგების მიღწევის ინდიკატორებსა და სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით.



		მათემატიკა: სასურველია წლის დასაწყისში კათედრის მიერ შემუშავდეს შემაჯამებელი დავალებებისთვის განმსაზღვრული შეფასების სქემები - საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი მორგება გამოკვეთილ საჭიროებებზე
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სკოლას ხარისხის ექსპერტისგან მიეცა რჩევა , კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გაწერილი მონიტორინგი და შეფასება სამოქმედო ვადებით ასახოს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში თითოეულ პროცესზე პასუხისმგებელ პირთა მითითებით.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
---------------------	---	--------------



ინდიკატორი 2.1.1.3	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გაწერილი ძირითადი პროცესები, კერძოდ, სასწავლო კურიკულუმის დოკუმენტის შემუშავების პერიოდი ასახოს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პროცესზე პასუხისმგებელ პირთა მითითებით.
-------------------------------	---	--



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო საგნები: სასურველია კურიკულუმის შედგენისას სავალდებულო თემები ავირჩიოთ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტიდან, საფეხურების მიხედვით. მაგ.კურიკულუმები ქიმია მე-9 კლასი, ბიოლოგია მე-7 კლასი. სახელმწიფო ენა: • საბაზო საფეხურის მე-7, მე-8, მე-9 კლასის კურიკულუმების საკითხთა კლასტერის სვეტში სასურველია ჩაიწეროს კომპლექსური დავალების საკითხი, ხოლო ტექსტები- მხოლოდ „ტექსტები, კონტექსტმაგალითების“ სვეტში. • სვეტი „მაგალითები შედარებისთვის“ სასურველია ადარ იყოს, როგორც ზედმეტი, ხოლო ამ სვეტში მითითებული დამატებითი ტექსტები ძირითად ტექსტებთან ერთად ჩაიწეროს სვეტში „ტექსტები, კონტექსტმაგალითები“. • მე-8 და მე-9 კლასების კურიკულუმში სასურველია ის ცნებები ჩაიწეროს, რომელიც მე-7 კლასის კურიკულუმშია. • მე-7 კლასის კურიკულუმში კი რესურსების სვეტში კარგი იქნება თუ გვერდები მიეთითება სახელმძღვანელოს ტექსტებს. მათემატიკა: სასურველია ყველა კლასის კურიკულუმს დანართის სახით ჰქონდეს თანდართული შემოქმედებითი პროდუქტის შესაბამისი აქტივობები და პროექტები.
-------------------------------	---	---



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა: სასურველია გამოყოფილი იყოს კურიკულუმში სარეზერვო საათები, რომელიც საფეხურის შესაბამისად დაეთმობა გრძელვადიანი მიზნის მიღწევას სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე თემის შესაბამისი შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენდეს შემოქმედებით პროდუქტს სასურველია მეტად მრავალფეროვანი იყოს სასწავლო აქტივობები
ინდიკატორი 2.1.2.3	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	სკოლას მიეცა რჩევა, განაახლოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების რესურსი, მოახდინოს ლაბორატორიების ფართების რეაბილიტაცია და აღჭურვოს სათანადო ინვენტარით. მათემატიკა: სასურველია კურიკულუმში ყველა თემას შეესაბამებოდეს და მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი მატერიალური და ელ.რესურსები
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	მათემატიკა: სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად დაიგეგმოს მოკლევადიანი მიზნები კათედრის ოქმში მკაფიოდ გამოიკვეთოს კათედრის წევრების მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები - სამინისტროს მიერ მოწოდებულ კურიკულუმში შეტანილი ცვლილებები კლასის საჭიროებიდან გამომდინარე



ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბუნებისმეტყველო საგანთა ჯგუფი: სასურველია შეფასების კრიტერიუმები კონკრეტული თემების მიხედვით იყოს სამიზნე ცნებებზე გაწერილი. საზოგადოებრივი მეცნიერებები: სკოლა აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებას, თუმცა რადგან მოსწავლის აკადემიური მოსწრების მთავარი განმსაზღვრელი ინსტრუმენტი არის განმსაზღვრელი შეფასება, უმჯობესია სკოლამ აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და ჰქონდეს ყველა აქტივობისთვის შესაბამისად. ესთეტიკის საგნობრივი ჯგუფი: საბაზო საფეხურისათვის, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში შეიქმნას: განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კურიკულუმში გაწერილი თემების ფარგლებში სამიზნე ცნების, მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თემის ფარგლებში, შედეგების მიღწევის ინდიკატორებსა და სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით. მათემატიკა: სასურველია წლის დასაწყისში კათედრის მიერ შემუშავდეს შემაჯამებელი დავალებებისთვის განმსაზღვრელი შეფასების სქემები - საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი მორგება გამოკვეთილ საჭიროებებზე
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	სპორტი: სასწავლო პროცესის საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად დაგეგმის მიზნით, საბაზო საფეხურზე, სასურველია მასწავლებელმა კურიკულუმში გაწეროს ის თემები, სპორტის სახეობები, რომლის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა.



		მათემატიკა: სასურველია ყოველი წლის ბოლოს დაიგეგმოს კურიკულუმის ანალიზი, თუნდაც კომენტარების სახით
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სკოლას ხარისხის ექსპერტისგან მიეცა რჩევა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გაწერილი მონიტორინგი და შეფასება სამოქმედო ვადებით ასახოს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში თითოეულ პროცესზე პასუხისმგებელ პირთა მითითებით.

ინდიკატორი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.1.3	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლას მიეცა რჩევა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გაწერილი ძირითადი პროცესები, კერძოდ, სასწავლო კურიკულუმის დოკუმენტის შემუშავების პერიოდი ასახოს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში თითოეულ პროცესზე, ღონისძიებაზე პასუხისმგებელ პირთა მითითებით.



ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	საბუნებისმეტყველო საგნები: სასურველია კურიკულუმის შედგენისას სავალდებულო თემები ავირჩიოთ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტიდან , საფეხურების მიხედვით. მაგ. კურიკულუმები: ქიმია მე-10 კლასი, ქიმია მე-11 კლასი სახელმწიფო ენა: საშუალო საფეხურის მე- 10- მე-12 კლასის კურიკულუმის საკითხის სვეტში სასურველია ჩაიწეროს კომპლექსური დავალების საკითხი, ხოლო ტექსტის დასახელება გადატანილ იქნას სვეტში „ტექსტი, კონტექსტმაგალითები“. კარგი იქნება რესურსების სვეტში სახელმძღვანელოს ტექსტებს მიეთითოს გვერდები. მე-11 კლასის კურიკულუმში საკითხის სვეტისა და „შემოქმედებითი დავალების“ სვეტის საკითხები ერთმანეთს ფარავს, ამიტომ სასურველია საკითხის სვეტში ჩაიწეროს საკითხი და ქვესაკითხი, ხოლო „შემოქმედებითი დავალების“ სვეტში დავალების იდეა ან პირობა. მათემატიკა: სასურველია ყველა კლასის კურიკულუმს დანართის სახით ჰქონდეს თანდართული შემოქმედებითი პროდუქტის შესაბამისი აქტივობები და პროექტები.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	მათემატიკა: სასურველია წლის განმავლობაში რამდენიმე თემის შესაბამისი შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენდეს შემოქმედებით პროდუქტს სასურველია გამოყოფილი იყოს კურიკულუმში სარეზერვო საათები, რომელიც საფეხურის შესაბამისად დაეთმობა გრძელვადიანი მიზნის მიღწევას.
ინდიკატორი	საგნობრივი კურიკულუმით	საბუნებისმეტყველო საგნები:



2.1.2.3	განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას	სასურველია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში იყოს გამწოვი კარადა. მათემატიკა: სასურველია კურიკულუმში ყველა თემას შეესაბამებოდეს და მოსწავლეებისთვის შეთავაზებულ იქნას მრავალფეროვანი მატერიალური და ელ.რესურსები
ინდიკატორი 2.1.2.4	საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები	მათემატიკა: სასურველია მკაფიოდ გამოიკვეთოს მოსწავლეთა საჭიროებები და შესაბამისად დაიგეგმოს მოკლევადიანი მიზნები კათედრის ოქმში მკაფიოდ გამოიკვეთოს კათედრის წევრების მიერ გათვალისწინებული დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები - სამინისტროს მიერ მოწოდებულ კურიკულუმში შეტანილი ცვლილებები კლასის საჭიროებიდან გამომდინარე
ინდიკატორი 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: სასურველია შეფასების კრიტერიუმები კონკრეტული თემების მიხედვით სამიზნე ცნებებზე იყოს გაწერილი. საზოგადოებრივი მეცნიერებები: უმჯობესია სკოლამ აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და ჰქონდეს ყველა აქტივობისთვის შესაბამისად. მათემატიკა: სასურველია წლის დასაწყისში კათედრის მიერ შემუშავდეს შემაჯამებელი დავალებებისთვის განმსაზღვრული შეფასების სქემები .საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი მორგება გამოკვეთილ საჭიროებებზე
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად	სპორტი: სასწავლო პროცესის საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად დაგეგმის მიზნით, საშუალო საფეხურზე, სასურველია

		მასწავლებელმა კურიკულუმში გაწეროს ის თემები, სპორტის სახეობები, რომელიც შესაბამისობაში მოდის სკოლის სპორტული ინფრასტრუქტურა. მათემატიკა: სასურველია ყოველი წლის ბოლოს დაიგეგმოს კურიკულუმის ანალიზი, თუნდაც კომენტარების სახით
ინდიკატორი 2.3.1.1	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	სკოლას ხარისხის ექსპერტისგან მიეცა რჩევა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით გაწერილი მონიტორინგი და შეფასება სამოქმედო ვადებით ასახოს სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში თითოეულ პროცესზე პასუხისმგებელ პირთა მითითებით.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშის საჯარო სკოლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფისაგან გაზიარებული იქნა ამავე სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია ავტორიზაციის პროცესში დახარვეზებული ინდიკატორების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. ინდიკატორები 1.2.1.2. და 3.5.1.4. დასკვნის საბოლოო პროექტში შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, ხოლო 3.4.1.1. ინდიკატორი შეფასებული იყო „მეტწილად შეესაბამება“. შესაბამისობის გეგმის და სათანადო დამამტკიცებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორები 1.2.1.2. და 3.4.1.1. სრულად არის დაკმაყოფილებული, რის გამოც შეიცვალა შეფასება და გახდა „სრულად შესაბამისი“, ხოლო ინდიკატორები



3.5.1.4. შეფასდა „ნაწილობრივ შესაბამისად“. ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება იმაზე, რომ „ნაწილობრივი შესაბამისობით“ შეფასებული ერთი ინდიკატორის მოთხოვნათა დაკმაყოფილება სკოლას შეუძლია ორი კალენდარული წლის განმავლობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, თუმცა მისია ძალიან ზოგადად არის ჩამოყალიბებული და არ არის გამოკვეთილი სკოლის როლი ადგილობრივი თემის საჭიროებების, ისტორიისა და ტრადიციების მიმართ. ხედვა დროში გაწერილია და 2030-31 წლისათვის გეგმავენ დაიმატონ პროფესიული განათლების პროგრამები სკოლის ტრადიციად ქცეული ხალხური რეწვის მიმართულებით. სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებები სკოლას მიღებული აქვს ცალკე დოკუმენტის სახით, მაგრამ ასევე ჩაშენებულია სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და 2024/25 სასწ.წლის სასკოლო გეგმაში. სკოლას მიეცა რჩევა, დააკონკრეტოს საკუთარი მისია და მოარგოს იგი სასკოლო თემის საჭიროებებს, ხოლო ხედვა გახადოს უფრო მკაფიო და კომპაქტური.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სოფელ ლასურიაშის საჯარო სკოლა თავის მისიაში განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებისთვის კომფორტული, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნას, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და

ტოლერანტობის დამკვიდრებას, ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა, ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, სოციალური და სახელოვნებო უნარების განვითარებას. დეკლარირებულ მიზნებში ნათლად ჩანს, რომ სკოლას აღებული აქვს ორიენტაცია ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნასა და თავისი სასკოლო საზოგადოების პიროვნულ განვითარებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დირექცია-ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან კომუნიკაციისას გამოიკვეთა, რომ 2024/25 სასწ.წლის სექტემბრის თვის ბოლომდე სკოლას დაგეგმილი აქვს გააგრძელოს მუშაობა მისია-ხედვა ღირებულებების დახვეწის მიმართულებით. სამუშაო ჯგუფი, რომელიც წარმართავდა აღნიშნული დოკუმენტის შემუშავებას, კვლავ გეგმავს გარკვეული სახის აქტივობების განხორციელებას (მათ შორის სკოლის ტრადიციად ქცეული ხალხური რეწვის მიმართულებით და სურთ, რომ ამის გათვალისწინებით მოახდინონ გრძელვადიანი დაგეგმვა). სკოლის დირექციასა და სამუშაო ჯგუფის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება სასკოლო საზოგადოების ინტერესი წარმოდგენილი დოკუმენტის მიმართ, კერძოდ, მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს კითხვარების შევსებაში (რომელიც შედგენილი იყო სამუშაო ჯგუფის მიერ), აღსანიშნავია, რომ ეს კითხვარები ცალ-ცალკე იქნა შედგენილი და მიწოდებული სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. მისია-ხედვა-ღირებულებების პროექტი გაცნობილი იქნა სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის, რისთვისაც გამოყენებული იქნა როგორც დასწრებითი სახის შეხვედრები, ისე სოციალური ქსელები და online პლატფორმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. მისია-ხედვა-ღირებულებების ამჟამად არსებული ვერსია მიღებული და გათავისებულია სასკოლო საზოგადოების წევრებისაგან. სკოლას აქვს გუნდური მუშაობის, ურთიერთპატივისცემისა და მიმღებლობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი ურთიერთობის დიდი პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრთა რიცხოვნება მცირეა (სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტიდან გამომდინარე), ასევე, თითქმის უმეტესი ნაწილი ამ საზოგადოებისა ერთი თემის მკვიდრია, რაც კიდევ უფრო მოსახერხებელს ხდის საერთო ღირებულებების ირგვლივ მათ გაერთიანებას. ადგილზე ვიზიტის დროს ეს ფაქტობრივი გარემოება კიდევ უფრო ცხადი გახდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შეგვიძლია ცალსახად ვთქვათ, რომ სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ - გვერდზე. მისი ელ.ვერსია თავის დროზე გაგზავნილია მშობლებთან, გამოქვეყნებულია საჯარო ჯგუფში, ასევე ამობეჭდილი სახით განთავსებულია სკოლის მთავარი შესასვლელის შიდა სივრცეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება - სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშის საჯარო სკოლა - შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ,კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 1.სკოლის დირექტორის ბრძანება მისია-ხედვა-ღირებულებების პროექტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის შესახებ.
- 2.სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები
- 3.კითხვარები(მშობლის, მოსწავლის და მასწავლებლის)
- 4.მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტი.
- 5.სკოლის ვებ.გვერდი <https://bit.ly/4c3N3hv>

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზე შეიქმნა 2024-31 წლების სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტი და 2024/25 წ.წ. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მეთოდოლოგიის დოკუმენტი ზოგადია და არ არის მისადაგებული სოფელ ლასურიაშის საჯარო სკოლის საჭიროებებს. მასში ზოგადად არის მოცემული სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები, საჭიროებს მეტ მორგებას სკოლის გამოწვევებსა და გრძელვადიანი გავითარების მიზნებზე (რომლებიც დაფუძნებული უნდა იქნას თემის საჭიროებებს, ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნას საქართველოს ამ მდიდარი ტრადიციების მქონე კუთხის როლი და მნიშვნელობა სასკოლო და სასწავლო პროცესების წარმართვის დროს). **სკოლას მიეცა რჩევა**, პირველ რიგში დახვეწოს სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტის შექმნის მეთოდოლოგია, რომელშიც ნათლად გამოჩნდება თავისის სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტული მიმართულებები და ინტერესები, ხოლო მორგებულ დოკუმენტზე დაყრდნობით დაიწყოს სტრატეგიული გეგმის დოკუმენტის დახვეწის სამუშაოები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს 7 წლიანი ციკლური დოკუმენტი, რომელიც ნაწილობრივ არის კავშირში სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტთან. აღნიშნული გეგმა ძალზედ ზოგადი სახისაა, მასში მოცემული 7 სტრატეგიული მიზნიდან მხოლოდ ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს სტრატეგიულ მიმართულებად, რაზეც სკოლასაც იგივე მოსაზრება გააჩნია. სტრატეგიული დაგეგმვის

დოკუმენტში არ არის მოცემული ამოცანების შესაბამისი აქტივობები, აქტივობების სავარაუდო შედეგები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელებისათვის საჭირო რესურსები. როგორც ავლნიშნეთ, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაც საჭიროებს დახვეწას. ამ გარემოების გათვალისწინებით, სკოლა გეგმავს 2024 წლის სექტემბრისთვის ბოლომდე განახორციელოს წარმოდგენილი დოკუმენტის კორექტირება. სკოლისაგან დამტკიცებული 2024-31წ.წ. სტრატეგიული განვითარების გეგმა, ამ ეტაპზე ვერ აკმაყოფილებს ამ ინდიკატორის მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელსაც ახლავს 2024-31 წ.წ. სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტის კორექტირებული, სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 08 ოქტომბრის სხდომის N12 ოქმით დამტკიცებული ვერსია. აღნიშნულ დოკუმენტში მოცემული სტრატეგიული მიზნები ეფუძნება და სრულ თანხვედრაშია სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას დამტკიცებული აქვს 2024-25 წ.წ. სამოქმედო გეგმა, რომელიც იმეორებს სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტში მოცემულ გრძელვადიან მიზნებს. გეგმაში დასაკონკრეტებელი იყო აქტივობების განხორციელების რესურსი. როგორც ავლნიშნეთ, სკოლა გეგმავს სტრატეგიული გეგმის დახვეწას, რომელშიც შეიცვლება სტრატეგიული მიმართულებების გარკვეული ნაწილი, რაც ავტომატურად გამოიწვევს სამოქმედო გეგმის დაკორექტირებას. ამ ეტაპზე სკოლას არ გააჩნია თვითშეფასების ანგარიში, თუმცა დირექცია-ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლაში პროცესები მიმდინარეობს ფართო ჩართულობით, რაც ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მისცემს საშუალებას, თვითშეფასება განახორციელოს ობიექტური და რელევანტური მიდგომებით და შედეგები აქციოს ორგანიზაციული განვითარების რესურსად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.თავდაპირველ ეტაპზე სკოლას წარმოდგენილი ქონდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც იყო ხარვეზიანი, შაბლონური სახის. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა 2024-25 წ.წ. დამტკიცებული სამოქმედო გეგმა, რომელიც დაფუძნებული იყო სტრატეგიული განვითარების გეგმას, იმეორებდა მის გრძელვადიან მიზნებს და მისი ფორმალური მხარე აკმაყოფილებდა ამ ინდიკატორის მოთხოვნებს. როგორც ავლნიშნეთ, სკოლა ახორციელებს ცვლილებას 2024-31 წ.წ. სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტში, რის საფუძველზეც ცვლილება განხორციელდება სამოქმედო გეგმის შინაარსობრივ ნაწილში. სკოლას მიეცა რჩევა, აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების გრაფაში დააკონკრეტოს, რა სახის რესურსის გამოყენებით გეგმავს სასურველი შედეგის მიღწევას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
2. 2024-31 წ.წ. სტრატეგიული გეგმა (პირველადი დოკუმენტი)
3. სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ოქმი (სამეურვეო საბჭო, 2024 წ. სექტემბერი).
4. 2024-2025 წ.წ. ერთლიანი განვითარების გეგმა
5. 2024-31 წ.წ. სტრატეგიული განვითარების გეგმის კორექტირებული ვერსია

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N17 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტშივეა მოქცეული მისია-ხედვა-ღირებულებების შექმნის მეთოდოლოგია. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ივნისის ბოლო კვირაში სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის, ხოლო სამი წლის ბოლოს

სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს. დამტკიცებული ანგარიში, საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია 2024 წლის სექტემბერში, ობიექტური გარემოებების გამო სკოლას არ განუხორციელებია ხსენებული დოკუმენტების მონიტორინგი და შეფასება ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.

3.სკოლას ქავს მზაობა, მას შემდეგ, რაც განხორციელდება ამჟამად მოქმედი ერთწლიანი გეგმის ანალიზი და შეფასება, ანგარიში გასაჯაროვდება ოფიციალურ ვებ.გვერდზე(ასევე, განთავსდება სკოლის საინფორმაციო დაფაზე).

ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.

4.სკოლას გაცნობიერებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების არსი, შესაბამისად, ამ გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული იქნება სკოლის განვითარებისათვის.

ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 1.სტრატეგიული გეგმის შემნის მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება(2024 წ.17 ივნისის N17 ბრძ).
- 2.სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 448-ე ბრძანებით დამტკიცებული, საჯარო სკოლის წესდებით გათვალისწინებული ყველა სტრუქტურული ერთეული. კერძოდ, პედაგოგიური საბჭო თავისი კათედრებით (5 კათედრა აქვთ), სამეურვეო საბჭო, დირექცია, ადმინისტრაცია, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მასვე ემატება უფრო მოგვიანებით შექმნილი კოლეგიური ორგანო-მრჩეველთა საბჭო. სკოლას აქვს ამ სტრუქტურული ერთეულების სქემატური გეგმა, რომელზეც აღნიშნული ორგანოები განლაგებულნი არიან მათი იერარქიის, კომპეტენციების და უფლებათა დელეგირების გათვალისწინებით. სკოლას დამტკიცებული და თვალსაჩინო ადგილზე აქვს განთავსებული ზემოთ ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, ასევე, სკოლაში იძებნება ამ ერთეულების მიერ განხორციელებული აქტივობების დამამტკიცებელი დოკუმენტაცია (ოქმები, ბრძანებები, სამსახურებრივი ბარათები და ა.შ.).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სკოლის სტრუქტურული ერთეულების მოწესრიგებული იერარქიული განლაგება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს სკოლის მიერ ხარისხიანი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის. სტრუქტურული

ერთეულებიდან აღსანიშნავია საგნობრივი კათედრების როლი ზემოთ აღნიშნული საქმიანობის მიმართულებით. სასწავლო წლის დასრულებისთანავე კათედრები იწყებენ ზრუნვას ახალი სასწავლო წლის უკეთ მომზადებისათვის. სკოლაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კათედრების მიერ დირექტორისათვის წარდგენილი ანგარიშები, რომელშიც გამოკვეთილია როგორც მიმდინარე წლის შემაჯამებელი მონაცემები, ისე სამომავლო ხედვები(ეს ხედვები გამოყენებულია 2024/25 სას.წლის სასკოლო გეგმაში, რომელიც ჩვენს ვიზიტამდე იქნა დამტკიცებული). სკოლის სამეურვეო და პედსაბჭო ჩართულები არიან სასწავლო პროცესის მოსამზადებელ სამუშაოებში(პირველსავე ეტაპზე, სექტემბრის დასაწყისიდან). მრჩეველთა საბჭოს შემთხვევაში ადგილი ქონდა გარკვეული სახის შეუსაბამობას, კერძოდ, 2023/24 სასწ.წლის მანძილზე, ნაცვლად ოთხი სხდომისა, ჩატარებული იყო ორი სხდომა(დოკუმენტურად მტკიცდება), რაც წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ მოთხოვნათა დარღვევას. სკოლას მიეცა რჩევა, სკოლას მიეცა რჩევა, 2024/25 სასწ.წლისათვის მრჩეველთა საბჭოს სხდომების ჩატარება უზრუნველყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ მოთხოვნათა გაითვალისწინებით, სასწავლო წლის მანძილზე მინიმუმ 4-ჯერ მაინც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 1.სკოლის სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი
- 2.სკოლის სტრუქტურული ერთეულების სქემატური გეგმა.
- 3.სკოლის სტრუქტურული ერთეულებისაგან გამოცემული/შექმნილი დოკუმენტაცია(ოქმები, თანდართული დანართებით)

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალი შედგება 25 პირისაგან, საიდანაც 20 მასწავლებელია. მასწავლებელთა ამ რიცხვიდან მხოლოდ ერთი პირია წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მატარებელი, ხოლო დანარჩენ უმრავლესობას აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი. აღნიშნულის გარდა სკოლაში დასაქმებულია 5 პირი(ადმინისტრაცია-ტექ.პერსონალი). სკოლის დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე, მართვის გარკვეული მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და კომპეტენციები გამიჯნულია, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს სკოლის მიერ ხარისხიანი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის. სტრუქტურული ერთეულებიდან აღსანიშნავია საგნობრივი კათედრების როლი ზემოთ აღნიშნული საქმიანობის მიმართულებით(სულ 5 კათედრა აქვთ). ვიზიტის პერიოდში კათედრებზე მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი, შეიმჩნეოდა თანამშრომლობითი ურთიერთობა, გამოცდილების გაზიარება კოლეგების მიმართ, ძირითადი აქცენტი აღებული იყო საგნობრივი კურიკულუმების დახვეწაზე. აღსანიშნავია, რომ სკოლის საავტორიზაციო ჯგუფის, განსაკუთრებით საგნობრივი ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და მითითებები ასევე გამოყენებული იქნა რესურსად. სკოლის სამეურვეო და პედსაბჭო ჩართულები არიან სასწავლო პროცესის მოსამზადებელ სამუშაოებში. რაც შეეხება 2023/24 წლის სასწავლო წლის პერიოდს, პერსონალის მართვასთან დაკავშირებით იკვეთება გარკვეული სახის შეუსაბამობა, კერძოდ, სკოლა არ აწარმოებდა გაკვეთილების გადანაცვლება/ჩანაცვლების რეესტრს, ასევე, არ ხდებოდა თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადება-სამსახურიდან წასვლის აღრიცხვის ჟურნალის წარმოება. **სკოლას მიეცა რჩევა**, დაიწყოს სამუშაო დროის რეალური აღიკვეთა, ასევე, აწარმოოს სამსახურში გამოცხადებისა და სამსახურიდან წასვლის ჟურნალი, ასევე, აწარმოოს გაკვეთილების გადანაცვლება-ჩანაცვლების ჟურნალი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში დასაქმებული პერსონალის ძირითადი ნაწილი დაწესებულებასთან შრომით ურთიერთობაშია ათეული წლების განმავლობაში, თუმცა სკოლას ასევე აქვს კადრების კონკურსის წესით მოწვევის პრაქტიკა. 2024 წლის აგვისტოში, კონკურსის წესით შერჩეული ჰყავთ სკოლის ექთანი, 2023 წლის სექტემბერში კონკურსის გზით მიიღეს ხელოვნების მასწავლებელი, ხოლო ვიზიტის დროს გამოცხადებული ჰქონდათ კონკურსის ისტ-ის მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე. ვაკანსიების არსებობის დროს სკოლა ღია კონკურსის გამოცხადებისათვის იყენებს <http://teacherjobs.ge/> ინტერნეტპორტალს. წარმოდგენილი მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოფელ ლასურიამის საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევა ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. დასაქმებულ პირებზე გახსნილ პირად საქმეებში ინახება ნასამართლეობის ცნობა, ხოლო 2020 წლის მაისის შემდგომი პერიოდიდან, კონკურსის გზით შერჩეული შერჩეული პირის შემთხვევაში სკოლას გახსნილი ქონდა პირადი საქმე, რომელშიც საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დოკუმენტაციასთან ერთად ინახებოდა ნასამართლეობის ცნობა, სქესობრივი დანაშაულის არქონისა და უფლების შეზღუდვის თაობაზე გაცემული ცნობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული იყო 25 თანამშრომელი, ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული. პერსონალის პირად საქმეებში ჩაკერებულია ყველა სავალდებულო სახის დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება იმ ზოგადსავალდებულო სახის წესებით, რომელიც შემუშავებული და მიღებულია ამავე პერსონალის წარმომადგენლებისაგან, კერძოდ, შინაგანაწესი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, მაგრამ დამტკიცებამდე ყველა დაინტერესებულ პირს აქვს უფლება, წარმოადგინოს ცვლილებათა პაკეტი ან ნორმის მისეული ინტერპრეტაცია. იგივე შეიძლება ითქვას პედაგოგიურ საბჭოსთან დაკავშირებით, სადაც სკოლა ამტკიცებს თავის სასკოლო გეგმას. აქაც, სასკოლო გეგმის შემუშავება ხორციელდება გუნდურად, კათედრების ჩართულობით და გადაწყვეტილებაც მიიღება გუნდურად, თუმცა საბჭოს ნებისმიერ წევრს აქვს უფლება დააფიქსიროს თავისი აზრი. სოფელ ლასურიამის საჯარო სკოლის პერსონალი არა თუ მონაწილეობას იღებს სასკოლო პროცესების მართვაში, არამედ გუნდურად არის პასუხისმგებელი ამ პროცესების სწორად წარმართვისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია, რომ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს: ა) მაღლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. მოცემული მექანიზმებიდან სკოლა პრაქტიკაში იყენებს მაღლობის გამოცხადებას(მხოლოდ ზეპირი ფორმით), ასევე, სკოლის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით სკოლა იყენებს ერთჯერადი სახის ფულადი პრემიის გაცემას. ამის დასტური გახლავთ საავტორიზაციო განაცხადზე მომუშავე ჯგუფის წახალისების დამადასტურებელი ინდ.აქტი(2024 წლის 03 ივლისის N28 ბრძანება), ასევე, იგივე ფორმა გამოყენებულია ადმინისტრაციის წევრების მიმართ(2024 წლის 03 იანვრის N01 ბრძანება). **სკოლას მიეცა რჩევა**, პერსონალის მოტივაციის ამაღლების მიზნით უფრო აქტიურად გამოიყენოს წახალისების სხვა ფორმებიც(მაღლობის გამოცხადება ბრძანებით და პირად საქმეში შეტანით, სიგელის გადაცემა).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 1.სკოლის შინაგანაწესი.
- 2.პერსონალის პირადი საქმეები.
- 3.კონკურსების დოკუმენტაცია.
- 4.პერსონალის ხელშეკრულებები
- 5.პედასაბჭოს და სამეურვეო საბჭოს ოქმები.
- 6.სკოლის დირექტორის ბრძანებები პერსონალის წახალისებასთან დაკავშირებით შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის შეფასების და მათი განვითარების საჭიროებათა მექანიზმები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში(რომელიც დანერგვის პროცესშია), თუმცა სკოლას არ აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის პრაქტიკა. **სკოლას მიეცა რჩევა**, ზემოთ ხსენებული დოკუმენტის საფუძველზე, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებისაგან შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც განახორციელებს საქმიანობას პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას ახდენს ზეპირი გამოკითხვის საფუძველზე, ასევე, მასწავლებელთა, კათედრის წევრთა და დირექტორის მიერ გაკვეთილზე დასწრების შედეგად განხორციელებული რეფლექსიის შედეგად. სკოლას არ აქვს პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის პრაქტიკა, თუმცა შემუშავებულია და

დამტკიცებული აქვთ გეგმა(2024წ.11 აგვისტოს N2-56 ბრძანებით), სადაც საჭიროებები მეტ-ნაკლებად იდენტიფიცირებულია. ასეთ საჭიროებათაგან სკოლა გამოარჩევს პედაგოგებისათვის მხარდაჭერის განხორციელებას საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებისა და დანერგვის მიმართულებით, რისთვისაც გეგმავენ ექსპერტის სკოლაში მიწვევას, რათა მასწავლებლებისათვის დახმარების გაწევა მოხდეს ადგილზე.

ინდიკატორი შეფასებას არ ექვემდებარება

3. სკოლას გააჩნია საკუთარი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომლითაც უზრუნველყოფს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლის მასწავლებლებიდან ყველა არის სტატუსიანი, მათ შორის 1 მასწავლებელი არის წამყვანის სტატუსის მატარებელი. რაც შეეხება დანარჩენ პერსონალს, გამოკვეთილად შესაძლებელია აღინიშნოს სკოლის ბუღალტერის მიმართულებით აღმოჩენილი მხარდაჭერა პროფესიული უნარების განვითარებასთან დაკავშირებით(სკოლამ საკუთარი სახსრებით მოახდინა მისი გადამზადება). როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სკოლა გეგმავს საკუთარი ფინანსური რესურსით უზრუნველყოს მასწავლებელთა დატრენინგება საგნობრივი კურიკულუმების მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში შეიმჩნევა კეთილგანწყობილი გარემო, ჩამოყალიბებულია სკოლის თვითმყოფადი კულტურა, მოწესრიგებულია ურთიერთობები მასწავლებელსა და დირექცია-ადმინისტრაციას შორის. სკოლას მიღებული ჰყავს ახალი კადრი(ექთანი), რომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია განხორციელდა წარმატებით. სკოლის პერსონალი ჩართული არის სასკოლო პროცესებში, რასაც ადასტურებს სკოლის

დოკუმენტი სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია-მოვალეობების შესახებ, ასევე, ამ ფუნქციების შესრულების შედეგად ნაწარმოები დოკუმენტები(ოქმები).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლა შეძლებისგვარად ახალისებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს. ვიზიტის დროს აგვიხსნეს, რომ მასწავლებელთა გარკვეულ ჯგუფს ქონდა გამოკვეთილი საჭიროება შეფასების რუბრიკების გამართულობის და ელ.ჟურნალში მონაცემების შეტანასთან დაკავშირებით. აღნიშნული ჯგუფისათვის მხარდაჭერის აღმოჩენა განხორციელდა სკოლის ადამიანური რესურსის გამოყენებით, პრობლემა ნაწილობრივ მოწესრიგდა, თუმცა მხარდაჭერის აუცილებლობა კვლავ არსებობს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 1.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- 2.სკოლის დირექტორის ბრძანება სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების და პირებისუფლებამოსილების დამტკიცების შესახებ(თანდართული წესი).
- 3.სამეურვეო, პედაგოგიური და მრჩეველთა საბჭოს ოქმები.
- 4.eschool-ის ბაზა.
- 5.ინტერვიუ დირექციის წარმომადგენლებთან

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ლასურიაშის საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესები ციკლური ხასიათისაა, ახალი სასწ.წლისათვის მზადება იწყება გასული სასწავლო წლის ანგარიშების საფუძველზე (კათედრების და პედაგოგიური საბჭოს ანგარიშები). 2024/25 სასწ.წლის სასკოლო გეგმის შემუშავების პროცესი დაიწყო 2024 წლის ივნისში, რომელზე მუშაობაც გაგრძელდა სექტემბრის პირველი კვირის განმავლობაში. ვიზიტის პერიოდში დასრულებული ქონდათ ახალი სასკოლო გეგმის შეთანხმებისა და დამტკიცების პროცედურები, მიმდინარეობდა საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის პროცესი. სკოლაში იგრძნობა სრული მზადყოფნა სასწავლო პროცესის წარმატებით დაწყებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასწავლო წლის განმავლობაში, სოფელ ლასურიაშის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები გეგმავენ აქტივობებს, რომლის მიზანიც არის სასწავლო პროცესების ნორმალურ რეჟიმში წარმართვა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და დირექციის ჩართულობა. ჩამოთვლილი სტრუქტურული ერთეულების მიერ ხორციელდება ძირითადი პროცესების ადმინისტრირება (გრიფირებული სახელმძღვანელოების შერჩევა, ახალი სასკოლო გეგმის მიღება, საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფისათვის რესურსის შეძენა). 2024 წლის სექტემბრის დასაწყისში სკოლამ მიიღო 7 წლიანი ციკლური

განვითარების გეგმა, ხოლო მანამდე-სკოლის მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტაცია საჭიროებს დახვეწას, ერთგვარ ნახტომს წარმოადგენდა მმართველობითი სახის ძირითადი პროცესების განვითარების მიმართულებით. სკოლას ასევე იდენტიფიცირებული აქვს დამხმარე პროცესები, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის მოცემული პერსონალის, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ დირექციის გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომელსაც შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს დისციპლინური მოკვლევა. სკოლას ამ დრომდე არ ქონია დისციპლინური სახის წარმოება, არც მშობლებისაგან/კანონიერი წარმომადგენლებისაგან ყოფილა გასაჩივრებული სკოლის რაიმე სახის გადაწყვეტილება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. გარდა შინაგანაწესისა, სკოლაში დასაქმებული პირების და მოსწავლეთა მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები გაწერილია სკოლასა და ამ უკანასკნელთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. ამ ეტაპისათვის სკოლას არ აქვს ხელშეკრულების შეწყვეტის პრაქტიკა, ასევე, ადგილი არ ქონია შრომითი კლასიფიკაციის დავებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 1.ხარისხის განვითარების მექანიზმების დოკუმენტი
- 2.პედსაბჭოს და სამეურვეო საბჭოს ოქმები(2023/24 სასწ.წლის, მათ შორის 2024 წლის სექტემბრის ოქმები).
3. სკოლის დასაქმებულ პირთა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების და მოსწავლეთა მიმართ სკოლის დირექციის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმების დოკუმენტი
- 4.სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.
- 5.შინაგანაწესი
- 6.ინტერვიუ(დირექცია-ადმინისტრაცია)

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო პროცესებთან დაკავშირებით სკოლა სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ახდენს რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, გამოიყენება დასწრებითი ფორმატი, სკოლის მთლიანი პერსონალის შეკრება და ინფორმაციის მიწოდება, ასევე, ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების საინფორმაციო დაფაზე განთავსება, სოციალურ ქსელში განთავსება, ე.წ. ჩატებსა და მესენჯერ ჯგუფებში გაზიარება. სკოლას აქვს ვებ.გვერდი, რომელზეც განთავსებულია ძირითადი სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში ფუნქციონირებენ ისეთი კოლეგიური ორგანოები, რომლებიც არჩეულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. ამის მაგალითია სამეურვეო საბჭო, რომელიც შექმნილია პარიტეტის საფუძველზე, წარმოდგენილები არიან როგორც მასწავლებლები, ისე მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, სადაც ასევე დაცულია პარიტეტი და წარმომადგენლობა. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც ასევე სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის ვებ.გვერდი (<https://bit.ly/4c3N3hv>)
2. სკოლის facebook გვერდი.
3. საინფორმაციო დაფა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ტერიტორიაზე დაცულია ფიზიკური უსაფრთხოება, სკოლის ეზო შემოღობილია, შენობაში და პერიმეტრზე განთავსებულია ვიდეოსათვალითვალო სისტემა (16 კამერა აქვთ დამონტაჟებული). სკოლას განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (გადამზადებული კადრი). სკოლას გამოყოფილი ჰყავს კარისკაცი რომელიც აკონტროლებს შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას. იგივე პირი აწარმოებს ვიზიტორთა აღრიცხვას. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მორიგეობენ მასწავლებლები (სართულის მორიგეები). სკოლას ჰყავს ექთანი (ახალი დანიშნული კადრია), რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით სკოლას თავისი ხარჯებით აქვს დამონტაჟებული საჭირო სახის მოწყობილობები, ამსთანავე, დაწყებული აქვს პროცედურები (გაგზავნილი აქვთ უწყებაში წერილი დასკვნის მიღების მიზნით) ექსპერტების მოწვევისა და შესაბამისობის დადგენისათვის. სკოლის შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით გაფორმებულია ხელშეკრულება ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო - ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან და

ელოდებიან ექსპერტის მისვლას. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით და შეთანხმებულია შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან(2024 წლის 02 ივლისის MIA 9 24 01983809 წერილი) . სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად სასწავლო კორპუსის კონსტრუქციული მდგრადობის თაობაზე დასკვნის მოპოვებას შეძლებენ ერთი კალენდარული წლის განმავლობაში(2025 წლის ივნისის ჩათვლით), **სკოლის მიმართ გაცემული იქნა რეკომენდაცია**, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები და შენობის კონსტრუქციული მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვება უზრუნველყოს 2025 წლის 24 ივნისის ჩათვლით პერიოდში, **სკოლას მიეცა რჩევა**, შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური კადრთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა** და სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 13 სექტემბრის დასკვნა, რომელშიც ფიქსირებულია, რომ სკოლის სასწავლო კორპუსის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და უსაფრთხოა ექსპლუატაციისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.გამომდინარე იქიდან, რომ სკოლა მცირეკონტიგენტიანია, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ სკოლის ექთანთან, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული

ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის N41/5-23/5 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მოთხოვნებთან. სათანადოდ აღჭურვილია სამედიცინო კაბინეტი, სადაც განთავსებულია პირველადი დახმარების საშუალებები(მედიკამენტი და აღჭურვილობა). როგორც ავღნიშნეთ, ექთანი ახალი დანიშნულია(ავგისტოს თვეშია მიღებული) და სკოლის პერსონალთან უკვე ახორციელებს კვალიფიციური მომსახურების გაწევას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი(რომელიც გადამზადებულია მანდატურის სამსახურის მიერ), ასევე, სართულის მორიგეები, დღის დარაჯი(კარისკაცი), ვიდუოსათვალთვალო სისტემა(16 კამერა), რომელიც განთავსებულია შიდა და გარე პერიმეტრზე. აღნიშნული სისტემა სრულად ფარავს სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორიას და იძლევა კონტროლის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს სკოლა ქმნის სკოლის ექთნის, სპეციალური მასწავლებლის, დირექციის და კლასის დამრიგებლების მეშვეობით. მოსწავლეებისთვის სკოლაში შექმნილია პოზიტიური გარემო, თავს დაცულად გრძნობენ და სასკოლო სივრცე მათთვის უსაფრთხო გარემოს წარმოადგენს. ბრძანებით განსაზღვრულია რეგულირების პროცესზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში არ დაფიქსირებულა ძალადობის შემთხვევები და შესაბამისად, გადამისამართებას ადგილი არ ქონია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას. მცირე კონტიგენტის გათვალისწინებით სკოლაში დასაქმებულია საშტატო განრიგით გათვალისწინებული 1 დამლაგებელი. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი იცავს და უფრთხილდება სისუფთავეს, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ პერსონალის წევრები ეხმარებიან დამლაგებელს სისუფთავის დაცვაში, მასწავლებლები თვითონ ასუფთავებენ საკლასო ოთახებს, ხოლო ფოიეებსა და საერთო სივრცეებს ასუფთავებს დამლაგებელი(ეს გარემოებაც დადებითად გამოაჩვენებს სკოლას და აჩვენებს გუნდური მუშაობის ხასიათს). სკოლას აქვს ფინანსური რესურსი ჰიგიენური და დასუფთავებისათვის საჭირო ინვენტარისა და საშუალებების შესაძენად. ვიზიტის პერიოდში არ დაფიქსირებულა დაბინძურების ფაქტი, მოვლილი იყო საკლასო ოთახები, საერთო სარგებლობის სივრცეები და ცალკე შენობაში განთავსებული სველი წერტილები(სასწავლო კორპუსში სველი წერტილები არ აქვთ).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლას აქვს შემუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი. სკოლა მესამე პირების წვდომისგან იცავს კანონმდებლობით დაცულ პერსონალურ ინფორმაციას. პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია(პერსონალის პირადი საქმეები, მოსწავლეების პირადი საქმეები) ინახება სკოლის დირექტორთან. eschool-ის ბაზაში დაშვება აქვს დირექტორსა და საქმისმწარმოებელს. დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ შვილების წარმატებას მშობლებს, სკოლის პერსონალმა და მშობლებმა სურვილისამებრ შეავსეს თანხმობის განაცხადი მათი ან მათი შვილების პერსონალური მონაცემების დამუშავების თანხმობასთან დაკავშირებით. სკოლას გააჩნია პერსონალური მონაცემების დაცვის გამართული მექანიზმები. სკოლას მიეცა რჩევა, გააფორმოს ხელშეკრულება პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. მონაცემების შეგროვება, დამუშავება და დაცვა ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით. სკოლა მონაცემებს ამუშავებს და აგროვებს მხოლოდ კანონიერი საფუძველით, მონაცემები დაცულია იმგვარად, რომ არ მოხდეს არსებული მონაცემების შემთხვევითი ან უკანონო განადგურება, დაკარგვა ან სხვა ფორმით უკანონო გამოყენება. საარქივო მასალები ინახება დაცულ სივრცეში. მათ მოვლასა და შენახვაზე პასუხისმგებელია დირექტორი და საქმისმწარმოებელი.

სკოლა ახდენს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში მოსწავლეთა და პერსონალის შესახებ ინფორმაციის ასახვას, მოძრაობის აღრიცხვას, სკოლას სრულყოფილად აქვს წარმოებული Eschool- ის ბაზა. მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა თანხმობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. სკოლა პერიოდულად ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასებას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, უფლებამოსილი პირი, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების თავმჯდომარეები, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე. ვიზიტის დროს ადგილზე იძებნებოდა მხოლოდ ორი ოქმი(თითო იყო ჩატარებული 2023/24 სასწ.წლის სემესტრების მიხედვით, რაც წარმოადგენს საქართველოს განათლების დამეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06 ბრძანებით დადგენილი ნორმების დაეღვევას), ასევე, არ იყო წარმოდგენილი დირექტორის ანგარიში გასული სასწ.წლის განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი არ ექვემდებარება შეფასებას

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 1.უსაფრთხოებასა და საზ.წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის ბრძანება.
- 2.მორიგეობის განრიგი.
- 3.ექთნის დანიშვნის ბრძანება
- 4.ვიდეოსათვალთვალო სისტემა(ვიზუალური დათვალიერებით).
- 5.სკოლის მიერ ავტორიზაციისათვის გადმოგზავნილი დოკუმენტაცია.
- 5.მრჩეველთა საბჭოს ოქმები.
- 6.ინტერვიუ დირექცია-ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან
- 7.სკოლის მიერ წარმოდგენილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 13 სექტემბრის დასკვნა(შენიშვნის კონსტრუქციული მდგრადობის შესახებ).

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ლასურიაშის საჯარო სკოლის შენობა ექსპლუატაციაში შევიდა 1976 წელს. გათვლილია 80 მოსწავლეზე. შენობას სრული რეაბილიტაცია არასოდეს ჩატარებია. სკოლამ საკუთარი ფინანსური რესურსების დაზოგვის გზით მოახერხა თვითონ დაეწყო სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება. ამ მიზნით, 2023 წელში, სკოლის ბიუჯეტიდან დაიხარჯა 64299

ლარი. 2024 წლის აგვისტოში დამატებით განხორციელდა 19512 ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სკოლის შიდა და გარე ინტერიერი სრულად მოწესრიგებულია და ქმნის სასიამოვნო გარემოს, შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო სისტემა, საკლასო ოთახები კარგ მდგომარეობაშია (განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ შენობის კარგი დაგეგმარების გამო ოთახების ბუნებრივი განათება საუკეთესოა). სკოლაში ფუნქციონირებს 10 საკლასო ოთახი. სასკოლო ინვენტარი კარგ მდგომარეობაშია. სკოლა აღჭურვილია ელექტრონული რესურსით (3 ცალი პროექტორი, 6 ცალი მულტიფუნქციური ქსეროაპარატი, 31 ცალი კომპიუტერი, ინტერაქტიული დაფა). სკოლას გააჩნია თანამედროვე ტიპის ღია სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი არ აქვთ, მაგრამ ამ მიზნით იყენებენ დიდი ფართის მქონე ოთახს, სადაც განთავსებულია ტენისის მაგიდა, ძალოსნობის ინვენტარი და ელექტრო სარბენი ბილიკი. ამ ოთახს აქტიური დატვირთვა რომ აქვს, დამადასტურებელია სკოლის მოსწავლეთა მიერ ტურნირებზე მიღებული ჯილდოები. სკოლას არ აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა და გეგმავენ მის მოწყობას უახლოესი პერიოდისათვის. შენობა არ არის ადაპტირებული (პანდუსი გაკეთებულია კუსტარულად), არ აქვთ ლიფტი და შიდა საპირფარეშოები (სველი წერტილები განთავსებულია სასწავლო კორპუსის გარეთ, ცალკე შენობაში, იქვეა ადაპტირებული საპირფარეშო). სკოლის საბუნებისმეტყველო საგნობრივი მიმართულების ლაბორატორიები საჭიროებენ განახლებას, თანამედროვე ტიპის მოწყობილობებით, თვალსაჩინოებებითა და შესაბამისი სახის ინვენტარით აღჭურვას. დანარჩენ შემთხვევაში, სკოლას გააჩნია საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სასწავლო პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის. **სკოლას მიეცა რჩევა**, განახლოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების რესურსი, მოახდინოს ლაბორატორიების ფართების რეაბილიტაცია და აღჭურვოს სათანადო ინვენტარით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში არსებობს სასკოლო რესურსით სარგებლობის მაღალი კულტურა. სასკოლო რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენება ხდება დანიშნულებისამებრ, შედგენილი გრაფიკის შესაბამისად. ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობისათვის შემუშავებულია მარეგულირებელი დოკუმენტი. რაც შეეხება საბუნებისმეტყველო მიმართულების თვალსაჩინოებებს და მოწყობილობებს, საამისოდ სკოლას გამოყოფილი აქვს 2 ფართი, ერთ მათგანში განთავსებულია ქიმია-ბიოლოგიის მიმართულება, ხოლო ცალკე ოთახში-ფიზიკის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს შემუშავებული ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში არის ფორმულარები, რომლითაც ხდება სახელმძღვანელოებისა და მხატვრული ლიტერატურის გაცემა მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე. ბიბლიოთეკარს აქვს

სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც გატარებულია მხატვრული ლიტერატურა, დანომრილია საინვენტარო ნომრით. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია ახალი ინვენტარით, აქვთ საკმარისი ოდენობის სასწავლო და მხატვრული ლიტერატურა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის ხელმისაწვდომია სკოლის ოთახები და საერთო სარგებლობის სივრცეები, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გადაადგილება შიდა სივრცეებში შესაძლებელია დაბრკოლებების გარეშე. ამის მიუხედავად სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, შენობა არ არის ადაპტირებული, არ აქვს სტანდარტული ტიპის პანდუსი და ლიფტი. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს გადაადგილების პრობლემის მქონე პერსონალი და მოსწავლე, თუმცა მომავლისათვის გასათვალისწინებელია ეს ფაქტორი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლა გეგმავს განახორციელოს შესაბამისი ინფრასტრუქტურული სამუშაოები. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა**, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი გეგმავს 2025 წლის 10 სექტემბრამდე უზრუნველყოს სტანდარტული ტიპის პანდუსის მოწყობა, ხოლო 2026 წლის 15 სექტემბრამდე - ლიფტის მოწყობა.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

5. სკოლის არსებული ინფრასტრუქტურა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომია. მოსწავლეებს შეუძლიათ სკოლაში არსებული რესურსების გამოყენებით სხვადასხვა აქტივობების განხორციელება, მათ შორის სპორტული ღონისძიებების გამართვა. სოციო-კულტურული თვალსაზრისით შექმნილია ჯანსაღი, მდგრადი და მიმზიდველი გარემო, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა დადებითი ფსიქოლოგიური და ემოციური განწყობის შექმნას. სკოლა აქტიურია არაფორმალური განათლების მიმართულებით. ამ მიმართულებას ცალკე სივრცე აქვს დათმობილი, სადაც გამოფენილია მოსწავლეთა ნაკეთობანი. ამ ნიმუშების სანახავად და სამუშაო პროცესში ჩართვის მიზნით სკოლაში ბევრი სტუმარი მოდის. სასკოლო სივრცეებში იმართება ბევრი მრავალფეროვანი ღონისძიება, მათ შორის მშობლების ჩართულობით. როგორც ავღნიშნეთ, სკოლას აქვს თანამედროვე ტიპის სპორტული მოედანი, რომელსაც თემი იყენებს სპორტული ღონისძიებების მოწყობის მიზნით. სკოლას გააჩნია კეთილმოწყობილი ეზო, სადაც გაშენებულია ხეხილის ბაღი(ერთგვარ რეკრეაციულ ზონას წარმოადგენს). ყველა ზემოთ ხსენებული რესურსის გათვალისწინებით ადგილობრივი თემისა და მუნიციპალიტეტისათვის სოფელ ლასურიამის საჯარო სკოლა წარმოადგენს საგანმანათლებლო და სოციო-კულტურული დანიშნულების დაწესებულებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსით სარგებლობის წესი
2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
3. სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტომასალა
4. სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება.
5. ინტერვიუ სკოლის დირექციასთან
6. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკის საკმარისი ოდენობა, მუშა მდგომარეობაშია 31 კომპიუტერი (მათ შორის აქვთ პერსონალური კომპიუტერები), ინტერნეტი (WIFI) ხელმისაწვდომია სკოლის შენობის მთელ ტერიტორიაზე. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია შესაბამისი ინვენტარი და აღჭურვილობა. სკოლა მცირეკონტიგენტანია, რამდენიმე კლასი (დაწყებით საფეხურზე 4 კლასი) არ ჰყავთ. კლასში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება 7-ს, შესაბამისად, ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება ინდივიდუალურად გამოიყენოს კომპიუტერი. ადმინისტრაცია და მასწავლებლები უზრუნველყოფილები არიან კომპიუტერული ტექნიკით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის IT ინფრასტრუქტურას წარმოადგენს კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, ინტერაქტიური დაფა, რომლებსაც მასწავლებლები მიზნობრივად იყენებენ გაკვეთილების ჩატარებისას, სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებისთვის, დოკუმენტების შესაქმნელად. ამ ტექნოლოგიებით შექმნილი ელექტრონული რესურსები მიმართულია სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. მოსწავლეები და მასწავლებლები სასწავლო პროცესის საჭიროებიდან გამომდინარე სარგებლობენ ციფრული ტექნიკით, ერთობლივად მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე სკოლის მიერ შემუშავებული განრიგისა და ქცევის წესების შესაბამისად. სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. შენობა აღჭურვილია Wi-Fi სისტემით. სკოლას აქვს შექმნილი სოციალურ ქსელში (Facebook) გვერდი კომუნიკაციისა და სიახლეების გაზიარებისთვის. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ამ მიმართულებით სკოლის პერსონალის განვითარების ხელშეწყობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის წესი;
2. კომპიუტერული ლაბორატორიის გამოყენების წესი და განრიგი;
3. კომპიუტერული ლაბორატორიის ფოტო.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი. აქტიურად იყენებენ დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემას. სკოლას აქვს ელექტრონულ ფოსტაზე და მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტაციის(წერილების, განცხადებების) აღრიცხვისა და დანიშნულებისამებრ გადამისამართების პრაქტიკა. სკოლა, დირექტორის ინდივიდუალური აქტების გამოცემისათვის იყენებს eflow-ს, რაც შეეხება მატერიალური სახის დოკუმენტაციას, მისი აღრიცხვა წარმოებს ცალკე ჟურნალში(მანამდე ატარებენ ელექტრონულად). სკოლის სტრუქტურული ერთეულები აწარმოებენ თავიანთ დოკუმენტაციას(კოლეგიური ორგანოების შემთხვევაში-ოქმებს), სკოლის მიერ გამოგზავნილ დოკუმენტაციაში ფიქსირდებოდა გარკვეული სახის ხარვეზი დოკუმენტის დანომვრასთან დაკავშირებით, კერძოდ, პედსაბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის ოქმი, ასევე, იმავე პერიოდის სამეურვეო საბჭოს ოქმი იწყება N1- ნომრით, რაზეც სკოლისათვის გაცემული იქნა შესაბამისი რჩევა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. როგორც ავლიშნეთ სკოლა აქტიურად იყენებს დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემას. სკოლას გააჩნია ოფიციალური ელექტრონული ფოსტა(lasuriashi@mes.gov.ge), რომლის მეშვეობითაც კონტაქტობენ როგორც ორგანიზაციებთან(მათ შორის რესურსცენტრთან), ისე კერძო პირებთან(საჭიროების შემთხვევაში). აღნიშნულის გარდა სკოლა მუშაობს eflow-ში, იღებს და აგზავნის მონაცემების შემცველ კორესპოდენციებს. გარდა ჩამოთვლილისა, სკოლა იყენებს rs.ge, spa.ge და signature.ge-ს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის eschool ბაზაში ასახულია სრულყოფილი ინფორმაცია სკოლის მისამართის, ელ.ფოსტის, მოსწავლეების, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლის, საკონტაქტო პირების, საცხოვრებელი მისამართების, ელექტრონული ფოსტების და ტელეფონის ნომრების შესახებ. სრულყოფილი ინფორმაციაა ასახული სკოლის პერსონალის განათლების, კვალიფიკაციის, სამუშაო გამოცდილების, საკონტაქტო მონაცემების, საათობრივი დატვირთვის, საცხოვრებელი მისამართის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზდრობის სამინისტროს ტერიტორიულ ერთეულთან-დაბა ცაგერის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას შესაბამისი ფორმით. სკოლას აქტიური ურთიერთობა აქვს სამინისტროს სსიპ-ებთან(ესიდა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი), ამას გარდა, სკოლა

თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან. სკოლა გარკვეული სახის ინფორმაციას უგზავნის პარლამენტს, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მთავრობის ადმინისტრაციას და იგივე ანგარიშს აქვეყნებს სს“საკანონმდებლომაცნე“-ში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 1.სკოლის დოკუმენტბრუნვის ელ.სისტემის დათვალიერება
2. eschool-ის ბაზა.
- 3.სკოლის მიერ უწყებებისათვის გაგზავნილი ანგარიშები(10 დეკემბრის ანგარიშები)

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საზოგადოების ინფორმირებისათვის სკოლას აქვს მოწესრიგებული სისტემა. სოციალურ ქსელში სკოლას გააჩნია საკუთარი Facebook გვერდი, გარდა ამისა, აქვთ მშობელთა ჩატები და იყენებენ მესენჯერს. როგორც დირექტორმა აგვიხსნა, საზოგადოება უფრო მეტად იყენებს სოციალურ ქსელში არსებულ სკოლის გვერდს. გარდა ჩამოთვლილისა, სკოლას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი (<https://bit.ly/4c3N3hv>) სადაც განთავსებულია ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი და ინფორმაცია ზოგადი განათლების სერვისის შესახებ (პროგრამები). გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, დასწრებითი სახის შეხვედრებს და ღონისძიებებს, შიდა სასკოლო საზოგადოების ინფორმირების მიზნითაწყოებს თათბირებს, ასევე, მნიშვნელოვან ინფორმაციას განათავსებს სკოლის საინფორმაციო დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საზოგადოებასთან ურთიერთობისას სკოლის ყველა თანამშრომელი ვალდებულია კომუნიკაცია წარმართოს იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე. სკოლა ასაჯაროებს და აქვეყნებს სანდო ინფორმაციას, სისტემატურად ხდება ინფორმაციის განახლება. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ოლიმპიადების, კონკურსების, კონფერენციების, ფორუმების შესახებ. ამისათვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, სოც. ქსელებში შექმნილი ჯგუფები, პირადი კომუნიკაცია. ეს ინფორმაციები ერთნაირად ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლის, მათი მშობლებისა და მასწავლებლისათვის, რაც უზრუნველყოფს თანასწორუფლებიანობას. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია სანდოა, რადგან დოკუმენტები დამტკიცებულია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით გათვალისწინებული წესით. სკოლის ვებ-გვერდის ადმინისტრირებას ახდენს სკოლის დირექტორი და საქმისმწარმოებელი, სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების მიწოდებას სამივე საფეხურზე და ამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე. იქვე განთავსებული დოკუმენტაციის მეშვეობით დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საზოგადოებასთან ურთიერთობა ემყარება გამჭვირვალობის, სამართლიანობის და საჯაროობის პრინციპებს. სკოლა ცდილობს იზრუნოს მრავალმხრივი, ხანგრძლივი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების შექმნაზე, ასევე მის შენარჩუნებაზე დაინტერესებულ პირებთან, როგორც სკოლის გარეთ, ასევე მის შიგნით. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა

ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას.

ექსპერტთა გადაწყვეტილებით, პირველადი ავტორიზაციისას აღნიშნული ინდიკატორი არ შეფასდება.

4.სკოლას გააჩნია მოქმედი ვებ.გვერდი(<https://bit.ly/4c3N3hv>), რომელზეც ყველა ინფორმაცია განთავსებულია სახელმწიფო ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლის ვებ.გვერდზე განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: მისია-ხედვა-ღირებულებების დოკუმენტი, სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, სკოლის სტრუქტურა, პროგრამები, მოსწავლეთა ჩარიცხვა- ამორიცხვის, კლასის და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების დოკუმენტი, შინაგანაწესი, სკოლის გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმების დოკუმენტი, სკოლის ბიუჯეტი. **სკოლას მიეცა რჩევა**, წარმოდგენილი დოკუმენტაციის გარდა თავის გვერდზე განათავსოს 2024/25 სასწ.წლის სასკოლო გეგმა, ასევე, მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, კლასის და საფეხურის დაძლევის მარეგულირებელი შიდა დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

1.სკოლის ვებ. და facebook გვერდები

2.ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს 2024/25წ.წ. სამოქმედო გეგმა, რომელიც დაკორექტირდება იმის მიხედვით, თუ 2024-31 წ.წ. სტრატეგიული განვითარების გეგმაში რა პუნქტები დარჩება სტრატეგიულ მიმართულებად. მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმვის ასეთი პრაქტიკა სკოლისათვის ახალია, ამ უკანასკნელს გააჩნია საკმარისი ფინანსური რესურსი მის წინაშე არსებული საკითხების გადასაჭრელად. სკოლა საკუთარი ფინანსური სახსრებით ახდენს პერსონალის ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების დაფარვას. ფინანსური რესურსის გარკვეული ნაწილი მიმართულია სასწავლო რესურსების და სანტარულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენისათვის. როგორც ავლნიშნეთ, სკოლის შენობა აგებულია 1976 წელში (რომელიც ითხოვდა რეაბილიტაციას). 2023 წლიდან სკოლა იწყებს თავისი ბიუჯეტის გამოყენებას შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაციისათვის. ამ მიმართულებით, 2023 და 2024 კალენდარული წლების განმავლობაში დაახლოებით 84 ათასი ლარი. სკოლას არ გააჩნია ცენტრალური გათბობა და ზამთრის სეზონზე იყენებენ შემის ღუმელს, რომელიც აბინძურებს სკოლის შიდა (ახლადგარემონტებულ) ინტერიერს. დირექციასთან საუბრისას გაირკვა, რომ სკოლა გეგმავს ამ პრობლემის საკუთარი სახსრებით მოგვარებას. ზემოთ ავლნიშნეთ, რომ სკოლის შენობა არ არის ადაპტირებული, ამას ემატება ის ფაქტი, რომ საპირფარეშოები განთავსებულია სხვა შენობაში. სკოლა გეგმავს, რომ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწეროს როგორც ცენტრალური გათბობის საკითხის, ისე სველი წერტილების სასწავლო კორპუსში მოწყობის მოგვარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მომავალი წლის ბიუჯეტს ამტკიცებს კალენდარული წლის ბოლოს (შესყიდვების გეგმის დამტკიცებამდე). 20 ნოემბრამდე ამტკიცებს შესყიდვების წლიურ გეგმას. სკოლას აქვს შესყიდვების გეგმის შედგენაში სასკოლო საზოგადოების, სკოლის საჭიროებათა კვლევის და სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩართულობის პრაქტიკა. სკოლა საკუთარ ფინანსურ სახსრებს განკარგავს მომჭირნედ, ახდენს ბაზრის კვლევას (ძირითადად იძენენ საკანცელარიო საქონელს, თვალსაჩინოებებს და ჰიგიენურ საშუალებებს, ასევე, ზამთრის სეზონის გათბობისათვის შემოაქვთ ე.წ. ბრიკეტები). სკოლის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების რამდენიმე ხელშეკრულება ნათლად ადასტურებს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ სკოლა მიზანმიმართულად ახდენს სახსრების

ხარჯვას. რაც შეეხება მონიტორინგს, მას ახორციელებს სკოლის უმაღლესი თვითმმართველობის ორგანო-სამეურვეო საბჭო. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023 კალენდარული წლის სასწავლო პროცესის და ფინანსური რესურსის ხარჯვის ანგარიში, რომელიც ჩაიბარა ზემოთ ხსენებულმა ორგანომ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 1.სკოლის ბიუჯეტი.
- 2.შესყიდვების გეგმა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

3. შესყიდვის ხელშეკრულებები

4. ინტერვიუ სკოლის დირექტორთან და ბუღალტერთან

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს.

მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება ყველა ეტაპზე, ნებისმიერი პირის მიერ. შინაგანაწესში ჩამოთვლილია მოსწავლის ქმედებები, რომლებიც მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად. განსაზღვრულია დისციპლინური სახდელები და დისციპლინური წარმოების წესი. შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლის წახალისების ფორმებსაც. სკოლის თითოეულ მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე, ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა უფლებით. სკოლა ზრუნავს, რომ მოსწავლეებს შეუქმნას უსაფრთხო გარემო, გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სასკოლო აქტივობებს. ბავშვის უფლებაა მიიღოს ხარისხიანი განათლება და არ შეეზღუდოს თვითგამოხატვის უფლება. ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას ემსახურება მთელი სასკოლო საზოგადოება, თვითგამოხატვის უზრუნველყოფა ხდება სასკოლო ცხოვრების ყველა დონეზე მოსწავლეთა ჩართულობით. მოსწავლის უფლებები დაცულია მისი ფოტო სურათის გასაჯაროების დროსაც. მხოლოდ მშობლის წერილობითი და სიტყვიერი თანხმობით ხდება ფოტო სურათების საჯარო სივრცეში განთავსება. სკოლაში მოქმედებს რეფერირების პროცედურები, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების დაცვას, გამოვლენილი ძალადობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მყისიერად მიეწოდება ინფორმაცია სკოლის დირექტორს, რომელიც ვალდებულია საქმე მოკვლევისათვის გადასცეს დისციპლინურ კომიტეტს. სკოლის ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის დირექციის ხელშეწყობით განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები. თვითმმართველობის ინიციატივით მოსწავლეთა სურვილებისა და საჭიროებების გათვალისწინებით იქმნება კლუბები, იგეგმება საქველმოქმედო და შემეცნებითი აქტივობები, რეგულარულად ხდება შეხვედრები სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა ჯგუფებთან და იქ გამოთქმული წინადადებები, ინიციატივები თუ მოთხოვნები წარედგინება დირექციას.

სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით: დისკრიმინაციის წინააღმდეგ; ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობას და იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის შინაგანაწესი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. იგი გამოკრულია ფოიეში, ასევე, განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გაცნობა ხდება საინფორმაციო

შეხვედრებზე, დამრიგებლის საათზე (სასწავლო წლის დაწყებიდან 1 კვირის განმავლობაში), მშობელთა კრებებზე და ასევე იმ ჩატში/დახურულ ჯგუფებში, რომლებიც შექმნილია დამრიგებელსა და მშობლებს შორის. ისინი ამ სივრცეში იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ფუნდამენტურ დოკუმენტს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით, თუმცა სკოლაში ასევე არსებობს სხვა სახის აქტებიც(სკოლის რესურსით სარგებლობის წესი, მოსწავლის რეფერირების წესი, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება), რომელთა რეგულაციები ასევე გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების ნომერს, თარიღს, ხელშეკრულების საგანს, სწავლების ენას, სწავლების პირობებს, მომსახურების საფასურს, ხელშეკრულების ვადას და გადახდის წესს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობებს, დავების გადაწყვეტის წესს, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობებს და დასკვნით დებულებებს. ხელშეკრულება ფორმდება ორ ეგზემპლარად, ერთი გადაეცემა მშობელს, ერთი კი რჩება სკოლაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- 1.სკოლის შინაგანაწესი
- 2.მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი
- 3.ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- 4.კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- 5.სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
